

შემუშავებულია

ფინელი ექსპერტთა გუნდის მიერ შედგენილი ფინური საერთაშორისო სასწავლო გეგმის შესაბამისად.

დამტკიცებულია

სს „ფინური საერთაშორისო სკოლის“

დირექტორის ბრძანებით

## სს „ფინური საერთაშორისო სკოლა“

სასკოლო სასწავლო გეგმა

2023-2024 სასწავლო წელი



## შესავალი

წინამდებარე სასკოლო სასწავლო გეგმა განსაზღვრავს სს „საერთაშორისო ფინურ სკოლაში“ სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და წარმართვის ძირითად ელემენტებს. სასკოლო სასწავლო გეგმა ფოკუსირებულია 1-6 კლასებზე, მოიცავს იმ ზოგად პრინციპებსა და ფასეულობებს, რომლებითაც სკოლა აპირებს ფუნქციონირებას. ბავშვთა ადრეულ განათლებაზე, ადრეულ საწყის განათლებაზე და ზედა საშუალო განათლების (დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე) ნაწილებზე, საჭიროებისამებრ, ხდება მითითება, რათა აღვწეროთ მთლიანი სკოლის ფუნქცია.

ამ ეტაპზე, სკოლა ემსახურება 1-6 კლასელ მოსწავლეებს. იგეგმება მომსახურების შეთავაზება **საბაზო** (7-9 კლასი) და **საშუალო** (10-12 კლასი) საფეხურის მოსწავლეთათვის. წინამდებარე გეგმის მიზანია სასწავლო გარემოს მიმოხილვა, ფიზიკური და აკადემიური კუთხით.

წინამდებარე გეგმა ეფუძნება „პოლარ პარტნერსის“ მიერ ფინური საერთაშორისო სკოლისთვის შემუშავებულ სასწავლო პროგრამას და წარმოადგენს სასკოლო აქტივობების მთავარ სახელმძღვანელო დოკუმენტს. სამუშაოს შესრულების დროს შესწავლილ იქნა საქართველოს ეროვნული სასწავლო გეგმა (დამტკიცებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის N40/ნ ბრძანებით), როგორც წერის პროცესის შემადგენელი ნაწილი, რათა უზრუნველგვეყო საერთაშორისო ფინური სკოლის მოთხოვნების საქართველოში მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობა. გეგმის ზოგიერთი ნაწილი, განსაკუთრებით სახელმძღვანელო პრინციპები და ფუნქციები, ორივე გეგმების გაერთიანებაა. საერთო ჯამში, ეს ორივე სახელმძღვანელო დოკუმენტი მოსწავლეთათვის ერთი და იგივე მისწრაფებების მქონეა.

წინამდებარე გეგმა შედგენილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ფინეთის რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს შორის გაფორმებული ზოგადი განათლების მიმართულებით თანამშრომლობის შესახებ მემორანდუმისა (2019 წლის 23 აგვისტო) და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2019 წლის 29 ნოემბრის MES 4 19 01635280 ნებართვის შესაბამისად.

## აბრევიატურების განმარტება

<b>PPFIGG</b>	Polar Partners Finnish International Curriculum Georgia (პოლარ პარტნერსის ფინური საერთაშორისო სასწავლო გეგმა - საქართველო)
<b>GNC</b>	Georgian National Curriculum (საქართველოს ეროვნული სასწავლო გეგმა)
<b>FIS</b>	Finnish International School (ფინური საერთაშორისო სკოლა)
<b>ECE</b>	Early Childhood Education (სკოლამდელი/ადრეული ასაკის ბავშვთა განათლება)

## სს „ფინური საერთაშორისო სკოლის“

### მისია

ფინური საერთაშორისო სკოლის მისიას წარმოადგენს აქტიური მოქალაქეების აღზრდა, რომლებიც მარტივად შეძლებენ XXI საუკუნის გამოწვევებთან გამკლავებას, სწრაფად ცვალებად გარემოსთან ადაპტირებას, წარმატებით საქმიანობასა და შემდგომ თვითგანვითარებას.

აღნიშნული მისიის მისაღწევად, ფინური საერთაშორისო სკოლა მიზნად ისახავს იმგვარი სასწავლო გარემოს უზრუნველყოფას, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეების ჰოლისტიურ განვითარებას. სასწავლო პროცესი მოსწავლეებს დაეხმარება არა მარტო აკადემიური ცოდნის შეძენაში, არამედ იმგვარი გამჭოლი უნარებისა და კომპეტენციების დაუფლებაში, რაც მათ XXI საუკუნეში პიროვნული და პროფესიული წარმატების მიღწევაში დაეხმარება.

სკოლის მიზანია, მოსწავლეებს დაეხმაროს კრიტიკული აზროვნების, თანამშრომლობითი უნარებისა და თვითმყოფადობის განვითარებაში. უახლესი ტექნოლოგიების გამოყენების უნარების განვითარებასთან ერთად, სკოლის ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს მოსწავლეებში სამეწარმეო აზროვნებისა და კომპეტენციების ჩამოყალიბება.

ამგვარი მიდგომა მოსწავლეებს დაეხმარება თავიანთი ცოდნა და უნარები რეალურ სამყაროს დაუკავშირონ და დაინახონ თავიანთი როლი მიმდინარე პროცესებსა და მოვლენებთან მიმართებაში. აღნიშნული მიზნების მიღწევას სკოლაში არსებული პოზიტიური და თავისუფალი სასწავლო გარემო, ხარისხიანი სასწავლო მასალა და სკოლაში არსებული სწორი ურთიერთდამოკიდებულებები უწყობს ხელს.

## სს „ფინური საერთაშორისო სკოლის“

### ხედვა

სკოლის დამთავრების შემდეგ, მოსწავლეები მზად იქნებიან ჩართული იყვნენ უწყვეტი სწავლის პროცესში და წარმატებით გაართვან თავი შრომის ბაზრის გამოწვევებს, ექნებათ ის ცოდნა, უნარები და კომპეტენცია, რომლებიც დასჭირდებათ, რათა მიაღწიონ წარმატებებს განათლების შემდგომ ეტაპსა და კარიერაში. შეძლებენ საკუთარი ძლიერი მხარეების ამოცნობას და მათ ოპტიმალურ გამოყენებას ცხოვრების მომდევნო ეტაპზე. სასწავლო პროცესში ფოკუსი მსოფლიო მოქალაქეობასა და მდგრადი განვითარების მიზნებზე მოსწავლეებს დაეხმარება თავიანთი როლის დანახვაში საერთაშორისო კონტექსტში და იმის გაცნობიერებაში, რომ მათ მსოფლიოს განვითარებაში თავიანთი,

თუნდაც პატარა, წვლილი უნდა შეიტანონ. აღნიშნული მიზნის მიღწევა სკოლაში, გამჭოლი კომპეტენციების განვითარებით მიიღწევა. აკადემიურ ცოდნასთან ერთად, გამჭოლი კომპეტენციებისა და პრაქტიკული უნარების განვითარება, PPFICG-ს განმასხვავებელ მახასიათებელს წარმოადგენს, რაც მოსწავლეების წარმატების უპირობო საწინდარია.

სკოლა დიდ ყურადღებას უთმობს მოსწავლეებში მეწარმეობის უნარის და აზროვნების განვითარებას. აგრეთვე, უახლესი ტექნოლოგიების შესწავლას და მათ პრაქტიკაში გამოყენებას თანამედროვე გარემოში უკეთ ინტეგრაციისა და მეტი წარმატების მისაღწევად.

## **დაწყებითი საფეხურის პრიორიტეტები**

დაწყებით განათლებას გააჩნია მრავალი ამოცანა, მათ შორის:

- **საგანმანათლებლო ამოცანა**  
FIS მხარს უჭერს მოსწავლეების სწავლის პროცესს, განვითარებას და მათ ოჯახებთან თანამშრომლობას. (PPFICG)
- **სოციალური ამოცანა**  
FIS მხარს უჭერს სამართლიანობის უფლებას, თანასწორუფლებიანობასა და სამართლიანობას, ქმნის საკუთარი მოსწავლეების ადამიანურ და სოციალურ კაპიტალს. (PPFICG)
- **კულტურული ამოცანა**  
FIS მხარს უჭერს მრავალმხრივ კულტურულ კომპეტენტურობას და კულტურული მემკვიდრეობის დაფასებას და აგრეთვე მხარს უჭერს მოსწავლეებში საკუთარი კულტურული იდენტობის განვითარებას. FIS ასევე მხარს უჭერს მოსწავლეებში კულტურული მრავალფეროვნების აღქმის უნდარის განვითარებას .
- **სამომავლო ამოცანები**  
FIS - ის მოსწავლეები სწავლობენ ცვლილების მიერ გამოწვეულ სირთულეების თავის გართმევას, მოვლენების კრიტიკულად შეფასებას და პასუხისმგებლიან ქმედებას.. FIS მხარს უჭერს - გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ შემუშავებულ მდგრადი განვითარების დღის წესრიგს, რომლის მიზანიც არის უზრუნველყოს სამართლიანი და მდგრადი მომავლის წინაპირობები იმგვარიგანათლების სისტემის მეშვეობით, რომელიც გლობალურ მიზნებზეა მორგებული (PPFICG)

FISის მისია, გამომდინარეობსგანათლების იმ ძირითადი მიზნებიდან, რომლიც მოცემულია PPFICG - ში და GNC - ში შემდეგი სახით:

- **მოსწავლეში საზოგადოებრივი პასუხისმგებლობისა და კულტურული მიკუთვნებულობის შეგრძნების განვითარება. (PPFICG)**
  - კულტურული მემკვიდრეობის დაფასების უნარი და მასზე ზრუნვა (GNC)

- თანამედროვე რეალობის აღქმის და ახსნის უნარი სივრცული დროის ნაწილში (GNC)
- ლინგვისტური და კულტურული მრავალფეროვნების დაფასების და აღქმის უნარი (GNC)
- საკუთარი კულტურისა და სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლებთან / ჯგუფებთან წარმატებით კომუნიკაციის უნარი (GNC)
- ჯანსაღი ცხოვრების წესის დაცვის უნარები (GNC)
- საკუთარი სოციალური საქმიანობის მნიშვნელობისა და მოცემულ პროცესში საკუთარი პასუხისმგებლობის გააზრების და სხვების ქმედების სჭორად ინტერპრეტირებისა და აღქმის უნარი; სამგადობრივი ეთიკის ნორმების დაცვა (GNC).
- კონფლიქტის არამძალდობრივი გზით მოგვარების უნარები (GNC)
- **აუცილებელიცოდნისა და სასიცოცხლო უნარების განვითარება (PPFICG)**
  - ენის გამოყენება, როგორც ცნობიერების, აზროვნების, თვითგამოხატვისა და კომუნიკაციის საშუალება (GNC)
  - ინფორმაციის გამოხატვის უნარი სხვადასხვა სიმბოლური ნიშნით (GNC)
  - კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების, პრობლემის გადაწყვეტის და კვლევის უნარი (GNC)
  - ლოგიკური აზროვნებისა და არგუმენტირებული დისკუსიის უნარები (GNC)
  - სამყაროს ესთეტიკური აღქმის უნარი (GNC)
  - თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით ინფორმაციის მოძიება, შემუშავება, შენახვა, გაზიარება და ანალიზი (GNC)
- **ცოდნისა და უნარ-ჩვევების, თანასწორობისა და უწყვეტი სწავლის ხელშეწყობა (PPFICG)**
  - არჩევანის გაკეთება საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესებიდან გამომდინარე (GNC)
  - დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღება და საკუთარი იდეების განხორციელება (GNC)
  - პროფესიული და კარიერული გადაწყვეტილებების მიღების უნარი (GNC)
  - ეკოლოგიური პრობლემების მოგვარების უნარ-ჩვევები მასთან დაკავშირებული რისკების გააზრების საშუალებით (GNC)
  - ახალი სიტუაციებისადმი და ცვლადი მოთხოვნებისადმი ადაპტირების უნარი (GNC)
  - ადეკვატური სწავლის სტრატეგიის შერჩევის და მათი ეფექტურად განხორციელების უნარი (GNC)

## ძირითადი ღირებულებები

სკოლის სამუშაო სრულად ეფუძნება და შეესაბამება Polar Partners-ის ფინურ საერთაშორისო სასწავლო გეგმაში (PPFIG) წარმოდგენილ ღირებულებებსა და პრინციპებს. ქვემოთ მოყვანილი ღირებულებების გარდა, სკოლა აქტიურად მუშაობს მოსწავლეებში სამეწარმეო სულისკვეთებისა, ასევე, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ეფექტურად გამოყენების უნარების განვითარებაზე.

### **თითოეული მოსწავლის უნიკალურობა და ხარისხიანი განათლების მიღების უფლება**

საბაზო განათლება ეფუძნება ბავშვობის პერიოდის განსაკუთრებული ღირებულების მქონე იდეას. თითოეული მოსწავლე თავისთავად არის უნიკალური და ღირებული. თითოეულ მოსწავლეს აქვს უფლება მიაღწიოს მის მაქსიმალურ პოტენციალს, როგორც ადამიანს და როგორც საზოგადოების წევრს. ამ მიზნის მისაღწევად, მოსწავლეებს სჭირდებათ წახალისება და ინდივიდუალური მხარდაჭერა, სკოლის მხრიდან მათი საჭიროებების ზუსტად დადგენის, მათი მოსმენისა და ღირებული უკუკავშირისა მიღება. მათ ასევე უნდა იგრძნონ, რომ სკოლა ზრუნავს მათ სწავლასა და კეთილდღეობაზე. თანაბრად მნიშვნელოვანია მონაწილეობის გამოცდილება და სხვებთან ერთად მუშაობის შესაძლებლობები, რაც ხელს უწყობს საზოგადოების ფუნქციონირებას და კეთილდღეობას.

თითოეულ მოსწავლეს აქვს უფლება მიიღოს ხარისხიანი განათლება და მიაღწიოს წარმატებას სწავლაში. სწავლის პერიოდში, მოსწავლეები ყალიბდებიან ინდივიდუალურად - უვითარდებათ მსოფლმხედველობა, ცხოვრებისეული ხედვა, და ეძებენ სამყაროში საკუთარ ადგილს. ამავე დროს, ისინი ეცნობიან საკუთარ თავს, სხვა ხალხს, საზოგადოებას, გარემოს და სხვადასხვა კულტურებს. ბავშვის სწავლის პროცესისგან ჩამოშორება ნიშნავს, რომ მისი სწავლების უფლებები ვერ იქნება განხორციელებული და ეს წარმოადგენს საფრთხეს მისი ჯანსაღი ზრდისა და განვითარებისათვის. საბაზო განათლება ქმნის უწყვეტი სწავლების პროცესის წინაპირობას, რომელიც თავის მხრივ სრულფასოვანი ცხოვრების არსებით პირობას წარმოადგენს.

განათლების ღირებულებების მნიშვნელობა გამოიკვეთება ისეთ სამყაროში, სადაც ის ინფორმაცია, რომელიც ვრცელდება სხვადასხვა მასობრივი საინფორმაციო არხების საშუალებით, გლობალური ინფორმაციის ქსელებით, სოციალური ქსელით და უშუალო ურთიერთობებით აყალიბებს ღირებულებების სისტემას ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის. მოსწავლეებთან ერთად ფასეულობების განხილვა საფუძველს უყრის მათ მიერ ფასეულობების შეცნობას და აგრეთვე იმ დამოკიდებულებების გააზრებას, რომლებსაც ისინი ხვდებიან ცხოვრების განმავლობაში და აგრეთვე მათ შესახებ კრიტიკულად აზროვნების უნარს. მოსწავლეებს მხარდაჭერა აქვთ საკუთარი ფასეულობების სისტემის შექმნაში. სკოლის და სახლის მიერ ერთობლივად წარმოდგენილი ფასეულობები, და მათზე დაფუძნებული თანამშრომლობა ხელს უწყობს მოსწავლის დაცულობას და მის კეთილდღეობას მთლიან სურათში. კადრების ღია და პატივცემული დამოკიდებულება სხვადასხვა რელიგიებისადმი, დამოკიდებულებების, ტრადიციებისა და განათლების ცნებებთან დაკავშირებით ქმნის კონსტრუქციულ ურთიერთობებს.

## **კაცობრიობა, ზოგადი განათლება და უნარები, თანასწორობა და დემოკრატია**

ძირითადი განათლება მხარს უჭერს მოსწავლის აღზრდას, როგორც ადამიანის, რომელიც მიისწრაფვის სიმართლისკენ, სიკეთისკენ, სილამაზისკენ, სამართლიანობისკენ და მშვიდობისაკენ. პიროვნული ზრდის დროს აუცილებლად წარმოიქმნება კონფლიქტი მისწრაფებებს და არსებულ რეალობას შორის. ამგვარი კონფლიქტების ეთიკური და კეთილშობილი გზებით მოგვარება და აგრეთვე სიმამაცე, რათა დაიცვას ის რაც არის კარგი, არის ზოგადი განათლების და უნარების ნაწილი. განათლება და უნარები აგრეთვე ნიშნავს იმას, რომ ინდივიდებსა და სოციუმებს შეუძლიათ გააკეთონ გადაწყვეტილებები ეთიკურ გააზრებებზე დაყრდნობით, წარმოდგენენ საკუთარ თავს სხვის ადგილზე და აგრეთვე შექმნიან მოსაზრებებს საკუთარი ცოდნიდან გამომდინარე. ეთიკის და ესთეტიკის პერსპექტივები მოსწავლეებში იწვევს ფიქრს იმის შესახებ თუ რა არის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი. ზოგადი განათლება და უნარები გამოვლინდება ჩვენს დამოკიდებულებაში საკუთარი თავის, სხვების, გარემოს და ინფორმაციის მიმართ, ჩვენი ქმედებების გზებში და ჩვენს სურვილებში, რათა განვახორციელოთ აღნიშნული ქმედება. განათლებული ხალხი ყოველთვის ცდილობს მოიქცეს კარგად და პატივი სცეს საკუთარ თავს, სხვებს და გარემოს. მათ აქვთ ინფორმაციის კრიტიკულად გამოყენების უნარი. საკუთარი თავის რეგულირებისადმი ძალისხმევა და საკუთარ განვითარებაზე და კეთილდღეობაზე პასუხისმგებლობის აღება, აგრეთვე წარმოადგენს ზოგადი განათლების და უნარების ნაწილს.

ძირითადი განათლება სიცოცხლისა და ადამიანის უფლებების პატივისცემაზეა აგებული. იგი კარნახობს მოსწავლეებს რათა მათ დაიცვან ეს ღირებულებები და დააფასონ ადამიანის ღირსების ხელშეუხებლობა. ძირითადი განათლება ხელს უწყობს კეთილდღეობას, დემოკრატიასა და სამოქალაქო საზოგადოებაში აქტიურ მონაწილეობას. საბაზისო განათლების განვითარება ხელმძღვანელობს სამართლიანობისა და თანასწორობის საყოველთაო მიზნებითა და პრინციპებით. განათლება ხელს უწყობს ეკონომიკური, სოციალური, რეგიონალური და გენდერული თანასწორობის ხელშეწყობას. განათლება არ უნდა მოითხოვდეს ან იწვევდეს მოსწავლეების მხრიდან რელიგიურ, ფილოსოფიურ ან პოლიტიკურ მორჩილებას. სკოლა და განათლება არ შეიძლება იქნას გამოყენებული, როგორც კომერციული გავლენის არხები.

## **კულტურული მრავალფეროვნება, როგორც სიმდიდრე**

საბაზისო განათლება აგებულია მრავალფეროვან ქართულ კულტურულ მემკვიდრეობაზე. მან მიიღო ფორმა და ყალიბდება სხვადასხვა კულტურებთან ურთიერთქმედებით. განათლება ხელს უწყობს მოსწავლეებს საკუთარი კულტურული ფასეულობების ჩამოყალიბებაში და ასევე მათ ზრდას როგორც საკუთარი კულტურისა და

საზოგადოების აქტიური მონაწილეები, აგრეთვე მათ სხვა კულტურებისადმი ინტერესს. იგი ასევე ხელს უწყობს კულტურული მრავალფეროვნების პოტენციალსა და პატივისცემას და კულტურათა შორის ურთიერთქმედების განვითარებას, რომელიც საფუძველია კულტურის მდგრადი განვითარებისთვის.

საბაზისო განათლებაში, სხვადასხვა კულტურული და ენობრივი ფონის მქონე ადამიანები გადიან და ეცნობიან სხვადასხვა ადათ-წესებს, საზოგადოების ადათ-წესებს და შეხედულებებს. მოსწავლეები სწავლობენ, თუ როგორ უნდა შეხედონ პრობლემას სხვა ადამიანის ცხოვრებისეული სიტუაციიდან და გარემოებებიდან გამომდინარე. ენების, კულტურის, რელიგიებისა და მრწამსის დაბრკოლებების გადალახვა და ერთად სწავლა ქმნის ფონს ჭეშმარიტი ურთიერთობებისა და საზოგადოებად ჩამოყალიბებისათვის. ძირითადი განათლება საფუძველია მოსწავლის გლობალურ მოქალაქედ ჩამოყალიბებისა, რომელიც პატივს სცემს ადამიანის უფლებებს და აგრეთვე შთააგონებს მათ რათა იმოქმედონ სიკეთის მომტანი ცვლილებებისათვის.

### **ცხოვრების მდგრადი გზის აუცილებლობა**

ადამიანები ბუნების ნაწილია და მთლიანად დამოკიდებულნი არიან ეკოსისტემების სიცოცხლისუნარიანობაზე. ამისი აღქმა კი თამაშობს ძირითად როლს ადამიანად ჩამოყალიბებაში. საბაზისო განათლება აღიარებს მდგრადი განვითარების და ეკო-სოციალური განათლების და უნარების აუცილებლობას, მიჰყვება მათ პრინციპებს და მეგზურობას უწევს მოსწავლეებს რათა მათ შეძლონ მდგრადი ცხოვრების წესის ჩამოყალიბება. მდგრადი განვითარება და ცხოვრების წესი მოიცავს ეკოლოგიურ და ეკონომიკურ საკითხებს და ასევე სოციალურ და კულტურულ საკითხებს. ეკო-სოციალური ცოდნისა და შესაძლებლობების წამყვანი იდეა არის შექმნას ცხოვრების ისეთი გზები და კულტურა, რომელიც ხელს შეუწყობს ადამიანის ღირსების ხელშეუხებლობის დაცვას, ეკოსისტემის მრავალფეროვნებასა და მისი განახლების შესაძლებლობას, და კომპეტენტური ბაზის შექმნას ცირკულარული ეკონომიისათვის, რომელიც ეფუძნება ბუნებრივი რესურსების სტაბილურ გამოყენებას. ეკო-სოციალური განათლება და უნარები გულისხმობს, რომ მოსწავლეებს კერძოდ კარგად ესმით კლიმატის ცვლილების სერიოზულობა, და აქვთ სწრაფვა მდგრადობისადმი.

ის თუ როგორ ქმნიან და იყენებენ ადამიანები ტექნოლოგიებს და თუ რა გადაწყვეტილებებს იღებენ ისინი ტექნოლოგიებთან დაკავშირებით არის დაფუძნებული მათ ფასეულობებზე. მათ აქვთ პასუხისმგებლობა, მიმართონ ტექნოლოგიები ისეთი მიმართულებით, რომელიც დაიცავს კაცობრიობის მომავალსა და გარემოს. ძირითად განათლებაში, მოსწავლეები განიხილავენ მოხმარებისა და წარმოების არსებულ მოდელებს მდგრადი მომავლის ჭრილში, ეძებენ და ერთობლივად ახორციელებენ პრაქტიკულ გადაწყვეტილებებს, რომელიც ხანგრძლივი დროის მანძილზე აუმჯობესებს ჩვენი ცხოვრების წესს. მოსწავლეები ასევე ეცნობიან სოციალურ სტრუქტურებსა და გადაწყვეტილებებს, რომელიც გავლენას ახდენენ განვითარებაზე, ეცნობიან თუ როგორ



უნდა იქონიონ მათზე გავლენა. ძირითადი განათლება აფართოებს მოსწავლეების მსოფლმხედველობას და აძლევს მათ საშუალებას შეიგრძნონ საკუთარი გლობალური პასუხისმგებლობა თაობებიდან გამომდინარე.

## სწავლების კონცეფცია

FIS - ის სასწავლო გეგმა დაფუძნებულია სწავლების იმ კონცეფციაზე, რომელიც არის მოცემული PPFICG - ში, რომლის მიხედვითაც, სწავლებას ადგილი აქვს სხვადასხვა ურთიერთობებში, რომლის მონაწილეებიც ხდებიან მოსწავლეები.

FIS - ის სწავლების კონცეფცია დაფუძნებულია PPFICG - ის ხედვაზე, რომელიც მოსწავლეებს აღიქვამს როგორც აქტიურ მონაწილეებს, რომლებიც სწავლობენ მიზნების დასახვას და პრობლემების გადაჭრას ინდივიდუალურად და აგრეთვე ჯგუფურად. სწავლების პროცესი კი აღქმულია, როგორც პროცესი რომელიც მიმდინარეობს სხვა მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან, ზრდასრულებთან, სხვადასხვა საზოგადოებასთან და გარემოსთან ურთიერთობის დროს. სწავლა კი თავისთავად არის განვითარების და წარმატებული ცხოვრების განუყოფელი ნაწილი.

მოსწავლეები აგრეთვე აღიქმებიან, როგორც აქტიური მონაწილეები, რომლებიც პასუხისმგებლობას იღებენ საკუთარ განათლებაზე და სწავლობენ თუ როგორ უნდა გადაჭრან პრობლემები როგორც დამოუკიდებლად, ისე ჯგუფთან ერთად. სწავლის პროცესი აღქმულია, როგორც ბავშვების ზრდის განუყოფელი ნაწილი, დაწყებული ადრეული ბავშვობიდან დასრულებული ძირითადი განათლებით. FIS- ში გატარებული დროის განმავლობაში მოსწავლეები სწავლობენ სწავლებისათვის საუკეთესო საკუთარი გზების გაცნობიერებას და ამ ცოდნის გამოყენებით ხელს უწყობენ საკუთარი სწავლების პროცესს.

FIS განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მოსწავლეების პიროვნული უნარ-ჩვევების განვითარებას. მოსწავლეებში სწავლებისათვის აუცილებელი უნარების სწავლების პროცესი საფუძველს უყრის მიზანმიმართული და უწყვეტი სწავლის პროცესს, რაც FIS - ის მისიის და ხედვის შესრულების მნიშვნელოვანი ელემენტია.

სკოლის საოპერაციო კულტურა და აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეების პოზიტიურ ხელმძღვანელობას, რომელიც თავის მხრივ საშუალებას იძლევა მოსწავლეებმა განივითარონ ძლიერი და ჯანსაღი თვითშეფასება, თვით-ეფექტურობა და თავდაჯერებულობა, პოზიტიურ ხელმძღვანელობა აგრეთვე გავლენას ახდენს იმ მიზნებზე რომლებსაც ისახავენ მოსწავლეები. მრავალფეროვანი დადებითი და რეალისტური უკუკავშირის მიღების საშუალება ურთიერთობის ძირითადი ნაწილია, ის არა მხოლოდ ხელს უწყობს მოსწავლეების სწავლების პროცესს არამედ ამავდროულად ზრდის მოსწავლეების ინტერესის არეალს. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სკოლის პერიოდში მოსწავლეებში სამეწარმეო შესაძლებლობების განვითარებას. მთლიანობაში, სწავლის პროცესი მიზნად ისახავს მოსწავლეებში საკუთარი პოტენციალის რწმენის და დაჯერებულობის გაღვივებას.

## 2023-2024 სასწავლო წლის კალენდარი

1. სასწავლო წელი ითვალისწინებს ორ სემესტერს. სასწავლო წელს ორ სემესტრად ყოფს ზამთრის არდადეგები;
2. 2023-2024 სასწავლო წელი იწყება 2023 წლის 18 სექტემბერს;
3. 2023-2024 სასწავლო წლის კალენდარი დანართი N1 სახით თან ერთვის სასკოლო სასწავლო გეგმას;
4. 2023-2024 სასწავლო წლის არდადეგები და უქმე დღეები:

უქმე	
დღეები	
14.10.2023	სვეტიცხოვლობა
23.11.2023	გიორგობის დღე
30.10- 03.11.2023	საშემოდგომო არდადეგები
25.12- 15.01.2024	ახალი წლის სადღესასწაულო დღეები
07.01.2024	შობა
19.01.2024	ნათლისღება
03.03.2024	დედის დღე
08.03.2024	ქალთა საერთაშორისო დღე
04.03- 07.03.2024	საგაზაფხულო არდადეგები
03.05- 10.05.2024	აღდგომის სადღესასწაულო დღეები
09.05.2024	სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დღე
12.05.2024	ანდრია პირველწოდებულის ხსენების დღე
26.05.2024	საქართველოს დამოუკიდებლობის დღე

5. გაკვეთილის ხანგრძლივობაა 45 წუთი;
6. ყოველი 45 წუთის შემდეგ მოსწავლე 15 წუთით ისვენებს;
7. მესამე გაკვეთილის შემდეგ მოსწავლეებს ეძლევათ 45 წუთი ლანჩისათვის;
8. მასწავლებელი უფლებამოსილია, პედაგოგიურ მიზეზებზე დაყრდნობით, შესვენების ჩვეულებრივი სქემა შეცვალოს. მსგავსი სიტუაციის დროს, მასწავლებელი ვალდებულია სქემაში შესატანი ცვლილებები შეუთანხმოს მოადგილეს აკადემიურ საკითხებში და პრინციპალს. გაესაუბროს, სკოლის დირექტორს, რომელიც იღებს შესაბამის ზომებს.
9. სკოლის ჩვეულებრივი შესვენების სქემაში გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს, მაგალითად, ერთობლივი ღონისძიებები - მოსწავლის ხანგრძლივი პროექტები, დღესასწაულები, და ექსკურსიები. სასწავლო ვიზიტები და

სასკოლო ბანაკები, შესაძლოა, მთლიანი სკოლის საზოგადოებისთვის იქნას დაგეგმილი ან ერთი ან მეტი სასწავლო ჯგუფისათვის. შესვენებები ფინურ საერთაშორისო სკოლაში ყოველთვის კონტროლდება მასწავლებლების ან შესაბამისი კომპეტენციის მქონე სკოლის სხვა თანამშრომლის მიერ.

10. 2023-2024 სასწავლო წლის დღის რეჟიმი (გაკვეთილების განრიგი) დანართი N2 სახით თან ერთვის სასკოლო სასწავლო გეგმას.

## სასკოლო საათობრივი ბადე

სასკოლო სასწავლო გეგმას დანართი N4 სახით თან ერთვის სასკოლო საათობრივი ბადე, რომელიც შედგენილია ფინური საერთაშორისო სკოლის სასწავლო პროგრამის მიხედვით.

## შემაჯამებელი დავალებების მინიმალური რაოდენობა

V-VI კლასებში და IV კლასის მეორე სემესტრში თითოეულ საგანში ტარდება მინიმუმ ერთი განმსაზღვრელი შეფასება, შემაჯამებელი დავალების საშუალებით.

## სწავლების ენა/ენები

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ფინეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე, სკოლაში საგანმანათლებლო პროცესი მიმდინარეობს ინგლისურ ენაზე.

PPFIGG - ის ინგლისური ენა ითვალისწინებს FNCC - ში დადგენილ სასწავლო მიზნებს, შინაარსსა და შეფასების კრიტერიუმებს. ყურადღება გამახვილებულია ენის ფუნქციურ ცოდნაზე. ენის სწავლების ამოცანები იყოფა ხუთ კატეგორიად:

1. კომუნიკაციის უნარი
2. წერილობითი ტექსტის გაგება
3. წერილობითი ტექსტის შედგენა
4. ენის, ლიტერატურის და კულტურის გააზრება
5. აღნიშნული ენის გამოყენება სასწავლო პროცესის ხელშეწყობის მიზნით

## მოსწავლეთა ჯგუფების ფორმირების პრინციპები

მოსწავლეების ჯგუფები შედგება ერთი ასაკობრივი ჯგუფისგან, რათა მოხდეს სოციალური უნარ ჩვევების დაბალანსებული განვითარება.

კლასში მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვრება 17 მოსწავლით. გამონაკლის შემთხვევაში, არსებული რესურსის გათვალისწინებით შესაძლებელია კლასებში განთავსდეს 18 მოსწავლე

## სასწავლო პროგრამის აღწერა

### სავალდებულო და არჩევითი

სს „ფინურ საერთაშორისო სკოლაში“ შესასწავლი სავალდებულო საგნების საერთო ნუსხა შემდეგია:

I-VI კლასები

- ინგლისური ენა
- ქართული ენა
- გერმანული ენა (VI კლასიდან)
- მათემატიკა
- საბუნებისმეტყველო მეცნიერებები
- ეთიკა და მსოფლიო რელიგიები
- მუსიკა
- ვიზუალური ხელოვნება
- ხელობა/ხელსაქმე
- ფიზიკური აღზრდა
- ისტორია (მე-V კლასიდან)
- საზოგადოებრივი მეცნიერებები (მე-4 კლასიდან)

## ინტეგრირებული სწავლა და მულტიდისციპლინარული სწავლების მოდულები

მულტიდისციპლინარული სწავლების მოდულები არის ინსტრუმენტები ინტეგრირებული სწავლებისთვის და სხვადასხვა საგანთა შორის დიალოგის წარმოშობისა.

საერთაშორისო ფინური სკოლა ჩართულია მრავალდისციპლინარულ სწავლების მოდულში. ეს მოდულები აერთიანებს სხვადასხვა საგნების შინაარსს ერთ თემაზე, რომელიც გამოიკვეთა რამდენიმე საგნის პერსპექტივიდან.

აღნიშნული მოდულების თემა, ხანგრძლივობა და შესრულების გზები იყოფა საჭიროებისა და ინტერესების მიხედვით. მოსწავლეები, მასწავლებელთა ხელმძღვანელობის ქვეშ, მონაწილეობას იღებენ მულტიდისციპლინარული სწავლების მოდულების შექმნაში.

მულტიდისციპლინარული სწავლების მოდულებზე მუშაობა სრულდება როგორც საგნის შესრულების ნაწილი. არ არსებობს მულტიდისციპლინარული სწავლების მოდულებზე ცალკე მუშაობის პროცესი.

ინტეგრირებული სწავლება შესაძლოა აგრეთვე განხორციელდეს შემდეგი საშუალებებით:

- პარალელური სწავლება - ცალკეული თემის სწავლება ერთდროულად ორ ან მეტ საგანში;
- თანმიმდევრული - ერთი და იგივე თემის თანმიმდევრული დალაგება;
- ფუნქციური ღონისძიებები - თემატური დღეების, ღონისძიებების, კამპანიების, სასწავლო ვიზიტების და სასკოლო ბანაკების ორგანიზება;
- ხანგრძლივი მულტიდისციპლინარული სასწავლო მოდულები - იგეგმება და ხორციელდება რამდენიმე საგნის გაერთიანებით რაც შესაძლოა, მოიცავდეს ზოგიერთ ზემოაღნიშნულ ინტეგრირებულ სასწავლო მეთოდს;
- სხვადასხვა საგნის შინაარსის არჩევა და მისი ინტეგრირებულ მოდულად გარდაქმნა;
- ერთიანი, ინტეგრირებული სწავლება, როდესაც სწავლა მიმდინარეობს ინტეგრირებული ფორმით, დაწყებით განათლებამდელი ფორმის მსგავსად.

**ფინური საერთაშორისო სკოლაში ინფორმაციულ საკომუნიკაციო ტექნოლოგიები ისწავლება სხვა საგნებთან ინტეგრირებულად.**

## დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების ჩამონათვალი და აღწერილობა

### სასკოლო კლუბები/წრეები

სასწავლო პროცესის შემდგომ (შუადღეს) კლუბური აქტივობები იგეგმება მოსწავლეთა და მშობლების მოთხოვნის და საჭიროების საფუძველზე და შეესაბამება სკოლის საგანმანათლებლო მიზანს.

კლუბების შექმნის ძირითადი მიზანი და იდეაა, მოსწავლეებს შესთავაზოს კლასგარეშე, განსხვავებული შინაარსის აქტივობები, მათ შორის, დაეხმაროს მათ გაიღრმავონ სოციალური უნარ-ჩვევები, გაიღრმავონ ურთიერთობები მხიარულ გარემოში შეხვედრების გზით. აღნიშნული კლუბები ასევე თანხვედრაშია მოყვანილი ძირითად საგაკვეთილო პროცესთან და ემსახურება დასახული სასწავლო მიზნების მიღწევასა და განყარებას. .

კლუბების მიზანია ხელი შეუწყოს სკოლის სასწავლო პროგრამებით განსაზღვრული მიზნის მიღწევასა და ასევე დამატებით, მოსწავლეებში პრაქტიკური და შემოქმედებითი უნარების განვითარება მრავალფეროვანი სასწავლო აქტივობების მეშვეობით.

მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით, 2023-2024 სასწავლო წელს სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს შემდეგ კლუბებს.

- ✓ პროგრამირება;
- ✓ მელომანების წრე;
- ✓ ჩინური ენის წრე;
- ✓ ვიზუალური აზროვნების წრე;
- ✓ საშინაო დავალების წრე;
- ✓ სახვითი ხელოვნების წრე;
- ✓ სახალისო საუბრების წრე;
- ✓ ნარჩენების გადამუშავების წრე;
- ✓ ესპანური ენის წრე;
- ✓ სამაგიდო თამაშების წრე;
- ✓ იოგა და პილატესი;
- ✓ ფინური ენის წრე;
- ✓ დრამის წრე
- ✓ ინფორმაციული ტექნოლოგიების წრე;

- ✓ სირბილის წრე;
- ✓ მოგზაურთა წრე;
- ✓ წიგნის მკითხველთა წრე;
- ✓ ჭადრაკის წრე;

## 1. დასახელება: პროგრამირება

**აღწერა:** პროგრამირების წრეზე მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა, გაეცნონ პროგრამირების საფუძვლებს, როგორებიცაა ამოცანის გადაწყვეტა, დეტალურად ჩაშლის მიდგომა, ლოგიკა და რაც მთავარია, კოდირების პრინციპები.

**მოსწავლეები შეძლებენ:** მოსწავლეები გაეცნობიან MIT's block based Scratch პროგრამირების ენას და Scratch-ის ოპერაციებს, შეძლებენ მარტივი ანიმაციების, თამაშების, ინტერაქციული ვიდეოების აწყობას.

**სწავლების მეთოდები:** თამაშით სწავლაზე დაფუძნებული სასწავლო მეთოდები, რომელიც გამოიყენება მოსწავლეთა უნარების, კრეატიულად აზროვნების, კრიტიკული აზროვნების, გუნდური მუშაობის, სოციალური უნარების, პრობლემის მოგვარებისთვის საჭირო უნარ-ჩვევების გასავითარებლად.

**კლუბის საჭიროების დასაბუთება:** პროგრამირება მიჩნეულია მომავლის პროფესიად, ტექნოლოგიური პროგრამები ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. ეკონომიკურ ცხოვრებაში უფრო და უფრო მოთხოვნადია, ადამიანებმა იცოდნენ პროგრამული ენები იმისთვის, რომ როგორც მინიმუმ, წარმოდგენა შეექმნათ, როგორ მუშაობს ორგანიზაციებში პროგრამული გუნდი. გარდა ამისა, პროგრამირებისთვის საჭირო უნარების განვითარება ეხმარება ადამიანს იყოს პრობლემის გადაჭრაზე მეტად ორიენტირებული, პრაგმატული და რაციონალური.

## 2. მელომანების წრე:

**აღწერა:** მელომანების წრეზე მოსწავლეები გაიფართოებენ მუსიკალურ ცოდნას და უნარებს სხვადასხვა მიმართულებით.

**მოსწავლეები შეძლებენ:** მოსწავლეები გაეცნობიან მუსიკის სხვადასხვა სტილსა და რამდენიმე სახის ინსტრუმენტზე დაკვრასა და სიმღერას. ჩამოყალიბდებიან



გემოვნებიან მსმენელებად და გამოუმუშავდებათ საკუთარ თავში და სხვაში მუსიკალური ნიჭების აღმოჩენის უნარი.

**სწავლების მეთოდები:** მოსწავლეები ივარჯიშებენ მათი სხეულის დახმარებით მუსიკალური ბგერების გამოცემაზე სხვადასხვა მიმართულებით: სიმღერა, ტაშის დაკვრა, ბითბოქსი, ჩაბერვა და ა.შ. გაეცნობიან ჟანრებს, მუსიკალური ინსტრუმენტების ჟღერადობებს. წრის ასარჩევად არა არის საჭირო წინა ცოდნა მუსიკაში, შესაძლებელია გაწვევრიანდეს ნებისმიერი მოსწავლე და ისიამოვნოს მუსიკით კვირაში ერთხელ.

**კლუბის საჭიროების დასაბუთება:** მუსიკა ხელოვნების ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული დარგია. მუსიკით ისიამოვნების მიღებას, ერთი მხრივ, თერაპიული დანიშნულება აქვს სტრესულ ცხოვრებაში, მეორე მხრივ, კი შესაძლოა ადამიანს გამოუმუშაოს შოუბიზნესში მუშაობის უნარები.

### 3. ჩინური ენის წრე:

**აღწერა:** სტუდენტები სწავლობენ მანდარინს და გაეცნობიან ჩინურ ენასა და კულტურას.

**მოსწავლეები შეძლებენ:** მოსწავლეები გაეცნობიან ჩინური დამწერლობების სტრუქტურას და იეროგლიფებს. გაეცნობიან კულტურათა შორის მსგავსებებს და განსხვავებებს, შეძლებენ ჩინურად მარტივი დიალოგების წარმართვას.

**სწავლების მეთოდები:** წიგნების, მულტფილმების, ვიდეოების, როლური თამაშების საშუალებით ჩინურის სწავლის პროცესი არის სახალისო და მიმზიდველი.

**კლუბის საჭიროების დასაბუთება:** ჩინური გახლავთ ენა, რომელზეც საუბრობს მილიარდ ადამიანზე მეტი დედამიწაზე. უფრო და უფრო დომინანტური ხდება ჩინური ეკონომიკა, რაც ამ ენის მცოდნე ადამიანებისთვის გახსნის ახალ და განსხვავებულ შესაძლებლობებს.

### 4. ვიზუალური აზროვნების წრე:

**აღწერა:** მოსწავლეები პლანშეტების გამოყენებით თამაშობენ ონლაინ ქვიზებს შემდეგ დისციპლინებში: ინგლისური, მეცნიერება და მათემატიკა.

**მოსწავლეები შეძლებენ:** მოსწავლეებს ემატებათ მოტივაცია, თამაშში მოსაგებად უკეთ ისწავლონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დისციპლინები.

**სწავლების მეთოდები:** თამაში შეიძლება იყოს გუნდური ხასიათის, დააგროვონ რაც შეიძლება მეტი ქულა, ან შეჯიბრების ხასიათის, კონცენტრირდნენ, ვინ უფრო მეტ ქულას დააგროვებს.

**კლუბის საჭიროების დასაბუთება:** ეს მათ დაეხმარება გაიუმჯობესონ ციფრული კომპეტენციები, დროის მენეჯმენტის უნარები, გუნდური მუშაობა, ინგლისური ენის ლექსიკონი და სწრაფი გამოთვლის უნარები. ვიზუალური აზროვნების წრე ტარდება კვირაში ორჯერ სხვადასხვა მზაობის ჯგუფებისთვის.

#### 5. საშინაო დავალების წრე:

**აღწერა:** მოსწავლეები ცდილობენ საშინაო დავალება დაასრულონ ადგილზე დამოუკიდებლად. დახმარების საჭიროების შემთხვევაში, მათ ეძლევათ მინიშნებები, ასევე წახალისებული არიან, ერთმანეთს აუხსნან საკითხი კლუბის წამყვანის სუპერვიზიის ქვეშ.

**მოსწავლეები შეძლებენ:** ახალი ცოდნა მიიღონ იმგვარად, რომ არ წაერთვათ სახლში თამაშის, დასვენებისა და ოჯახთან დროის გატარების საშუალება.

**სწავლების მეთოდები:** დახმარების საჭიროების შემთხვევაში მოსწავლეები ადგილზევე ლებულობენ კომპეტენტური პირის მხრიდან საკითხის იმგვარ ახსნას, რაც არ შეუძლის ხელს მათი დამოუკიდებელი უნარ-ჩვევების და აზროვნების განვითარებას.

**კლუბის საჭიროების დასაბუთება:** კლუბი მოსწავლეებს აჩვენებს დამოუკიდებლად მუშაობას, ერთმანეთის მხარდაჭერას, დროის მენეჯმენტს.

#### 6. სახვითი ხელოვნების წრე:

**აღწერა:** მისი მიზანია მოსწავლეებს გაუღრმავოს ცოდნა სახვითი ხელოვნების ისეთი დარგების შესწავლაში, როგორებიცაა: ფერწერა, გრაფიკა, სკულპტურა, კოლაჟი, შერეული მედია და დეკორაციული ხელოვნება. წაახალისოს ბავშვები, გამოხატონ თავიანთი გრძნობები, ფიქრები და შემოქმედებითობა სახვითი ხელოვნების სხვადასხვა ფორმის მეშვეობით.

**მოსწავლეები შეძლებენ:** მოსწავლეები გაეცნობიან და ისწავლიან ფერწერას, გრაფიკულ ხატვას, ციფრულ ხატვას, ძერწვას და თვითგამოხატვის სხვა ვიზუალურ საშუალებებს.

**სწავლების მეთოდები:** მოსწავლეები სწავლობენ ტექნიკას, ნახულობენ ჟანრთა კლასიკის მაგალითებს, შეარჩევენ თემას და შემდეგ ეძლევათ სრული თავისუფლება, გამოხატონ შთაბეჭდილება საკუთარი ინტერპრეტაციით.

**კლუბის საჭიროების დასაბუთება:** სახვითი ხელოვნების წრე საშუალებას აძლევს ბავშვებს, გასაქანი მისცენ თავიანთ ფანტაზიას და ეხმარება მათ არასტანდარტულად დაინახონ სამყარო მათ გარშემო. წრე მიმდინარეობს კვირაში ორჯერ სხვადასხვა ასაკის ჯგუფისთვის.

## 7. სახალისო საუბრების წრე

**აღწერა:** მისი მიზანია გააღრმავოს ინგლისური ენის ცოდნა ბავშვებში სხვადასხვა სახალისო აქტივობის მეშვეობით.

**მოსწავლეები შეძლებენ:** უფრო სწრაფად დაიწყონ ინგლისურად საუბარი, არ ჩამორჩნენ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პროგრამას ენის არცოდნის გამო, სწრაფად ადაპტირდნენ უცხოენოვან გარემოში, შეიძინონ მეგობრები სხვადასხვა კლასიდან.

**სწავლების მეთოდები:** კლუბი მოიცავს ისეთ აქტივობებს, როგორებიცაა როლური თამაშები, დიალოგები, სიმღერები და რითმები, წერითი, მოსასმენი და კითხვითი თამაშები. აქტივობები განსაზღვრულია სხვადასხვა ტიპის შემსწავლელთათვის და იყენებს სწავლების კომუნიკაციურ მიდგომას.

**კლუბის საჭიროების დასაბუთება:** სკოლაში სწავლობს სხვადასხვა ეროვნების მოსწავლე, მათი საკომუნიკაციო ენა არის ინგლისური. ასევე სწავლა მიმდინარეობს ინგლისურ ენაზე. კლუბი ინგლისური ენის არმცოდნე მოსწავლეებს ეხმარება სტრესის არიდებაში, თამაშითა და სახალისო კომუნიკაციით დაძლიონ ენის ბარიერები და გაიჩინონ მეგობრები.

## 8. ნარჩენების გადამუშავების წრე

**აღწერა:** დღესდღეობით ნარჩენების გადამუშავების თემა იმაზე ბევრად ადვილი და მხიარულად მისაწვდომია პატარებისთვის, როგორც არასდროს. სახალისო აქტივობებით ისინი სწავლობენ, როგორ აწარმოონ ნაკლები ნაგავი, როგორ გამოარჩიონ ნარჩენებიდან ხელმეორედ გამოსაყენებელი ნივთები და შესაბამისად, როგორ მოუფრთხილდნენ გარემოს.

**მოსწავლეები შეძლებენ:** ამ წრეზე მოსწავლეები განიმტკიცებენ აზრს, რომ მოუფრთხილდნენ გარემოს, გაიაზრებენ ნარჩენების ხელახლა გამოყენების და ახალი იდეების მიცემის ხერხებს; წახალისდება მათი შემოქმედებითობა და

ხელოვნება; დაიხვეწება მათი ნატიფი მოტორიკა; გამოუმუშავდებათ უნარები ექსპერიმენტული სამუშაოების ჩასატარებლად.

**სწავლების მეთოდები:** წრეზე ხორციელდება შემდეგი აქტივობები: ნარჩენებით ახალი ნივთების შექმნა, დამველებული ნივთების მოხატვა, ონლაინ თამაშები ნარჩენების გადამუშავებაზე, ანიმაციები გადამუშავების წახალისებაზე, ნარჩენების შესახებ ინფორმაციის გაზიარება.

**კლუბის საჭიროების დასაბუთება:** თანამედროვე სამყაროში კარგი მოქალაქის აღზრდა არ შემოისაზღვრება ინდივიდუალური განვითარებისთვის საჭირო უნარების გამომუშავებით, არამედ საჭიროებს გარემოზე ზრუნვას. ცნობიერების ამაღლება იმ საკითხში, თუ რამდენად დიდ ზიანს ვაყენებთ ადამიანები ჩვენივე საცხოვრებელს ნარჩენების გადაყრით, დაგვეხმარება ვიცხოვროთ უფრო ჯანსაღ გარემოში.

#### 9. ესპანური ენის წრე:

**აღწერა:** წრე შედგება მრავალფეროვანი აქტივობებისგან, რომლებიც მოსწავლეებს დააფიქრებს ინტერაქციის მნიშვნელობაზე ესპანურის სწავლის დროს.

**მოსწავლეები შეძლებენ:** წრეზე დასწრებით მოსწავლეები შეისწავლიან ესპანურ ენას, ივარჯიშებენ საუბარში და გაიგებენ მეტს ესპანური კულტურის შესახებ: სამზარეულო, ენა, ხელოვნება, ფილმები და სერიალები, ცნობილი ადამიანები, მუსიკა და ცეკვა.

**სწავლების მეთოდები:** ისინი სწავლობენ ესპანურ ლექსიკონს ვიდეოების, თამაშების, სიმღერების, მოთხრობების, სახალისო ბარათების გამოყენებით.

**კლუბის საჭიროების დასაბუთება:** უცხო ენების სწავლა გაავარჯიშებს მათ მეხსიერებას და სხვა კოგნიტურ უნარებს. ესპანურის სწავლა გაზრდის მოსწავლეთა გაცნობიერების ხარისხს ინგლისურ ენაშიც. ისინი შეადარებენ განსხვავებულ ენებს, მიხვდებიან ენის სტრუქტურათა შორის, ასევე ფონემებს შორის მსგავსებას და განსხვავებას.

#### 10. სამაგიდო თამაშების წრე:

**აღწერა:** მოსწავლეები თამაშობენ სხვადასხვა ტიპის სამაგიდო თამაშებს წყვილებად ან ჯგუფში.

**მოსწავლეები შეძლებენ:** ისინი ინვითარებენ როგორც მოსმენის, საუბრისა და კითხვის უნარებს, ასევე არითმეტიკას, ნავიგაციას, კოდირებას, წვრილ და მსხვილ მოტორიკას.

**სწავლების მეთოდები:** მოსწავლეები ერთად ეცნობიან თამაშის წესებს, თანხმდებიან სტრატეგიასა და ტაქტიკაზე და შემდეგ ორგანიზებულად თამაშობენ.

**კლუბის საჭიროების დასაბუთება:** ეს თამაშები მოიცავს მოლაპარაკებებს, რუკაზე ორიენტირებას, წესების ახსნასა და გაგებას, მეხსიერების, აზროვნების და დამარწმუნებელი კომუნიკაციის უნარს.

შესაბამისად, წრე სასარგებლოა როგორც მოსწავლეების სოციალური, ასევე კოგნიტური უნარების განვითარებისთვის. წრე ტარდება კვირაში ორჯერ სხვადასხვა მზაობის ჯგუფისთვის.

#### 11. იოგა და პილატესი:

**აღწერა:** კლუბის მთავარი მიზანია შესთავაზოს მოსწავლეებს იმგვარი ფიზიკური აქტივობა, რომელიც განავითარებს მათი კოორდინაციის და კონცენტრაციის უნარებს, იოგა და პილატესი მოითხოვს მოთმინებას, კონცენტრაციას დასხეულის კონტროლს. არ მოითხოვება წინა ცოდნა ან უნარები.

**მოსწავლეები შეძლებენ:** ყოველ ჯერზე კლუბში ემატება ახალი სავარჯიშოები, თუმცა არის ნაწილი, რომელიც მეორდება ყოველ ჯერზე. ამგვარად, მოსწავლეებს შეუძლიათ აითვისონ ხარისხიანად და დააკვირდნენ მათი სხეულის განვითარებას მთელი სემესტრის განმავლობაში.

**სწავლების მეთოდები:** ყველა მოსწავლე წახალისებულია შეასრულოს ის პოზები და სავარჯიშოები, რომელთა შესრულების საშუალებასაც აძლევთ საკუთარი შესაძლებლობები. სავარჯიშოთა უმრავლესობა კეთდება დამოუკიდებლად, თუმცა ზოგი მათგანი მოითხოვს სხვებთან თანამშრომლობას. მასწავლებელი გაუძღვება ჯგუფს და ანახებს, როგორ შეასრულონ სავარჯიშო. მოსწავლეები იღებენ მაგალითს და ცდილობენ შესრულებაას. მასწავლებელი აკვირდება, რომ მათი მოძრაობა იყოს სწორი და უსაფრთხო.

**კლუბის საჭიროების დასაბუთება:** ბავშვებისთვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ გონებრივი, არამედ ფიზიკური განვითარების რუტინის ჩამოყალიბებაც. იოგა და პილატესი მოსწავლეებს, ერთი მხრივ, ეხმარება მოზღვავებული ენერჯის სწორად დახარჯვაში, მეორე მხრივ კი ავითარებს მათი კონცენტრაციის და თვითრეგულირების უნარებს.

#### 12. ფინური ენის წრე:

**აღწერა:** წრის მთავარი მიზანია შეასწავლოს მოსწავლეებს ფინური ენა და კულტურა. ამავდროულად ისინი სწავლობენ ჯგუფურ მუშაობას და დისკუსიას.

**მოსწავლეები შეძლებენ:** დაინახონ მსგავსება და განსხვავება ფინურ და მათ კულტურებს შორის, წარმართონ მარტივი საუბრები ფინურად, გაიგონ რა კულტურულ ნორმებზეა დაფუძნებული ფინური სკოლის წარმატების იდეა, გაეზარდოს ფინეთში სწავლის გაგრძელების შანსი.

**სწავლების მეთოდები:** მოსწავლეები წახალისებულები არიან გამოიყენონ ენა დადებით გარემოში, შეცდომის დაშვების შიშის გარეშე. მასწავლებელი ასწორებს შეცდომებს და წარმოთქვამს სიტყვებს გამოთქმით. როგორც წესი კლუბი იწყება ძველი სიტყვების გამეორებით და ახლის სწავლით. დარჩენილ დროს მოსწავლეები უსმენენ ფინურ სიმღერებს ან უყურებენ სახალისო ვიდეოებს ფინურ კულტურაზე და ყოველდღიურობაზე. ფინეთის ამგვარად გაცნობა მათ აძლევს მოტივაციას, უკეთ შეისწავლონ ენა.

**კლუბის საჭიროების დასაბუთება:** მოსწავლეები სწავლობენ ფინურ საერთაშორისო სკოლაში. მათთვის სარგებლის მომტანი იქნება, უფრო ფართო პერსპექტივაში გაიაზრონ ამ სკოლის კულტურა, გაიცნონ ფინეთის თავისებურებები და ისტორია და გაიაზრონ ფინური ენის სტრუქტურა.

### 13. დრამის წრე:

**აღწერა:** დრამის აქტივობები უკვე არის ბავშვის ყოველდღიურობის ბუნებრივი ნაწილი სკოლაში მოსვლამდე: ისინი თამაშობენ როლებს, იგონებენ სამყაროებს, რომელთაც უკავშირებენ რეალურ ცხოვრებას. მოსწავლეები, რომელთაც აქვთ სირთულეები წერასა და კითხვაში, განსაკუთრებით ისინი, რომელთათვისაც ინგლისური მეორე ენაა, გამოხატავენ განსაკუთრებით მაღალ პოზიტიურ უკუკავშირს საკუთარი თავის მრავალფეროვნად გამოხატვის შესაძლებლობისთვის.

**მოსწავლეები შეძლებენ:** ამგვარი ქმედება იწვევს ჩვენს წრეზე და ეძლევა სტრუქტურირებული სახე, რათა მოსწავლეები უკეთ დაეუფლონ გადმოცემისა და ინტერპრეტაციების მიღების გზებს.

**სწავლების მეთოდები:** ბავშვებს უყვართ მოძრაობა და სხვებთან კომუნიკაცია. ეს ის არის, რასაც მათ ვთხოვთ დრამის წრეზე. ნაცვლად ჩუმიად ჯდომისა და მოსმენისა, ისინი წახალისებული არიან იმოქმედონ, ისაუბრონ და ეკონტაქტონ სხვებს.

**კლუბის საჭიროების დასაბუთება:** დრამის წრე ეხმარება მათ ისეთი უნარების განვითარებაში, როგორცაა შემოქმედებითობა, ძიება, კომუნიკაცია, ემპათია, თავდაჯერებულობა, თანამშრომლობა, ლიდერობა და მოლაპარაკების ხელოვნება.

**14. ინფორმაციული ტექნოლოგიების წრე:**

**აღწერა:** ინფორმაციული ტექნოლოგიების წრის მიზანია გაზარდოს მოსწავლეების კომპიუტერული და თავდაჯერება კომპიუტერული ტექნოლოგიების სასარგებლოდ გამოყენებაში.

**მოსწავლეები შეძლებენ:** წრეზე მოსწავლეები იღებენ ბაზისურ ინფორმაციას თუ როგორ მუშაობს კომპიუტერის შემადგენელი ნაწილები და როგორ მუშაობს პროგრამები მათი დახმარებით. ისინი ისწავლიან პროგრამებს, რომლებიც დაეხმარება მათ აკადემიური უნარების უკეთ განვითარებასა და წარმოჩენაში და გაუმარტივებს ცხოვრებას.

**სწავლების მეთოდები:** მოსწავლეებს ეძლევათ პრაქტიკული დავალებები კომპიუტერული პროგრამების გამოყენებით. ისინი ხვდებიან, როგორ უმარტივდებთ დავალების შესრულებას, პროგრამების სწორად გამოყენების გზით.

**კლუბის საჭიროების დასაბუთება:** ინფორმაციული ტექნოლოგიების ფლობა პროფესიული განვითარების უმთავრესი წინაპირობაა. ტექნოლოგიურ ერაში დღითი-დღე მცირდება ფურცლებისა და პირისპირ კომუნიკაციის დოზა და ინფორმაცია ინახება ადვილად აღქმად ციფრულ პროგრამებში. ნებისმიერი პროფესიის შემთხვევაში ინფორმაციული პროგრამების ცოდნა უფრო კონკურენტუნარიანს ხდის ადამიანს.

**15. სირბილის წრე:**

**აღწერა:** სირბილის წრის მიზანია მოსწავლეებს განუვითაროს გუნდური მუშაობის უნარები სუფთა ჰაერზე ფიზიკური აქტივობების გზით.

**მოსწავლეები შეძლებენ:** რთული სააზროვნო პროცესებით სავსე დამღლეი დღის ბოლოს მოსწავლეები სიხარულით ერთვებიან სირბილის წრეზე. კოგნიტური და ფიზიკური დატვირთვის ბალანსის აღდგენით მათ ეხსნებათ გაღიზიანების, დაღლილობის და გადატვირთვის განცდა. ამ ყველაფერთან ერთად ისინი გაიჩენენ ახალ მეგობრებს, სწავლობენ ახალ თამაშებს.

**სწავლების მეთოდები:** მოსწავლეებს ეძლევათ სხვადასხვა თამაში, რომელიც მოითხოვს ეზოში სირბილს.

**კლუბის საჭიროების დასაბუთება:** სკოლის ასაკში მოსწავლეთა მოჭარბებული ენერჯია პრობლემას უქმნის მათ კონცენტრაციაში. სირბილის კლუბზე მათ ეძლევათ საშუალება, მხიარულად და სასარგებლოდ დახარჯონ ენერჯია და პასიურმა გარემომ მავნედ არ იმოქმედოს მათ ფიზიკურ თუ ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე.

**16. მოგზაურთა წრე:**

**აღწერა:** პატარა ტურისტები სახალისო გზით სწავლობენ სხვადასხვა ქვეყანაში მდებარე გამორჩეულ ტბებს, მდინარეებს, მთებს, ადგილებს. ოკეანეებისა და კონტინენტების ადგილმდებარეობას, შეიძენენ მოგზაურობის დაგეგმვისთვის საჭირო უნარებს.

**მოსწავლეები შეძლებენ:** გაარჩიონ ქვეყნები კლიმატის, ადგილმდებარეობის, ლანდშაფტის, ოკეანეებთან სიახლოვის მიხედვით. შეეძლებათ დაგეგმონ მოგზაურობა თითოეულ ქვეყანაში.

**სწავლების მეთოდები:** მოსწავლეებს ეძლევათ პროექტები, რის მიხედვითაც უნდა შეისწავლონ მოცემული ქვეყნის მდებარეობა, კლიმატი, რა ტიპის ტანსაცმელი უნდა წაიღონ წელიწადის სხვადასხვა დროს, რა უნდა ნახონ ადგილზე.

**კლუბის საჭიროების დასაბუთება:** ბავშვებს უყვართ მოგზაურობა. ამ გზით ისინი სახალისოდ ისწავლიან გეოგრაფიულ ადგილებს.

**17. წიგნის მკითხველთა წრე:**

**აღწერა:** წრის მიზანია მოსწავლეებს შეაყვაროს კითხვა, მოაძებნინოს თანამოაზრეები და დაეხმაროს წარმოსახვითი აზროვნების განვითარებაში.

**მოსწავლეები შეძლებენ:** განივითარონ წაკითხულის გააზრებისა და წარმოსახვითი უნარები. ისწავლონ დროის სასარგებლოდ გამოყენება, შეადარონ ერთმანეთს მწერლები და პერსონაჟები.

**სწავლების მეთოდები:** რამდენიმე ალტერნატივიდან მოსწავლეები არჩევენ მათთვის საინტერესო წიგნს და კითხულობენ. შემდეგ ერთმანეთს უზიარებენ შთაბეჭდილებებს.

**კლუბის საჭიროების დასაბუთება:** მხატვრული ლიტერატურის მკითხველებს უვითარდებათ სტრესთან გამკლავებისა და წაკითხულის გააზრების უნარი. უვითარდებათ სწრაფად აზროვნებისა და აბსტრაქტული აზროვნების ჩვევები.

**18. ჭადრაკის წრე:**

**აღწერა:** წრის მიზანია ჭადრაკის თამაშის გზით განუვითაროს მოსწავლეებს მეხსიერების, კრიტიკული აზროვნების, კონცენტრაციის, ჯანსაღი კონკურენციის უნარები.

**მოსწავლეები შეძლებენ:** იცოდნენ ჭადრაკის ფიგურების სახელები, ჭადრაკის პოპულარული სვლები.

**სწავლების მეთოდები:** მოსწავლეები იყოფიან წყვილებად, უყურებენ პოპულარული სვლებსა და კომბინაციებს და ცდილობენ თვითონაც გამოიყენონ თამაშის პროცესში.

**კლუბის საჭიროების დასაბუთება:** ჭადრაკი არის სპორტი, რომელიც ხელს უწყობს აზროვნების, მეხსიერების, კონცენტრაციის განვითარებას. კომბინაციების დათვლა და წინასწარ განსაზღვრის უნარი ავითარებს ინტელექტს, მოთმინების და



კონკურენციის უნარებს რაც სასარგებლოა არა მხოლოდ მომავალი მოჭადრაკეებისთვის, არამედ ნებისმიერი პროფესიისთვის.

### **განაყოფები**

სს „ფინური საერთაშორისო სკოლა“ 2023-2024 სასწავლო წელს მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით ქართულ ენასა და ლიტერატურაში ჰყოფს კლასებს ცოდნის დონის მიხედვით, კერძოდ, განაყოფები დაკომპლექტდება შემდეგნაირად:

1. ქართული ენა და ლიტერატურა მათთვის, ვისთვისაც მშობლიური ენა არის ქართული;
2. ქართული ენა და ლიტერატურა მათთვის, ვისთვისაც ქართული არის უცხო ენა.

### **საგანმანათლებლო რესურსი**

საგანმანათლებლო რესურსების (ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია და სხვ.) ხელმისაწვდომობას მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის.

საგანმანათლებლო რესურსები:

- ძირითადი და დამატებითი სახელმძღვანელოები
- სასწავლო რესურსი (მათ შორის ელექტრონული);
- სხვადასხვა სახის თვალსაჩინოება (რუკები, პლაკატები, მოდელები და სხვ.).

### **ძირითადი და დამატებითი სახელმძღვანელოების ნუსხა, რომლებიც გამოყენებული იქნება 2023-2024 სასწავლო წელს**

სასკოლო სასწავლო გეგმას დანართი N5 სახით თან ერთვის სახელმძღვანელოების ნუსხა, ასევე, სასწავლო რესურსების ჩამონათვალი, რომლებიც გამოყენებული იქნება 2023-2024 სასწავლო წელს.

## მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები

მოსწავლეების შეფასებას სწავლა-სწავლების პროცესში უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება. შეფასება, უპირველეს ყოვლისა, სწავლის პროცესის გაუმჯობესებას, პოზიტიური, გამჭვირვალე სასწავლო გარემოს შექმნასა და მოსწავლეების შესაძლებლობებსა და საჭიროებებზე მორგებას უნდა ემსახურებოდეს.

სწორედ ამ მიზანს ემსახურება ფინურ საერთაშორისო სკოლაში დანერგილი შეფასების სისტემა. იგი მკაფიოდ ჩამოყალიბებულ კრიტერიუმებსა და აღწერილობას ემყარება, რაც მასწავლებელს მოსწავლის შეფასებას უადვილებს და პროცესს გამჭვირვალეს, მიზანმიმართულსა და ეფექტურს ხდის. მასწავლებლის მიერ მოსწავლეებისთვის სისტემატიურად მიწოდებული განმავითარებელი უკუკავშირი კი მოსწავლეებს სწავლის პროცესს უადვილებს.

შეფასების მთავარი დანიშნულება არა მოსწავლეების ერთმანეთთან შედარებაა, არამედ მათივე პროგრესის შეფასება დასახულ სასწავლო მიზნებთან მიმართებაში. ამ პროცესში მასწავლებლის დანიშნულებაა დაეხმაროს მოსწავლეს უკეთ გაიგოს, თუ რა წარმოადგენს მის სასწავლო მიზნებს და უკეთ დაინახოს თავისი ძლიერი მხარეები და ასევე ის ცოდნა, უნარები და კომპეტენციები, რომელიც უნდა განავითაროს დასახული სასწავლო მიზნის მისაღწევად.

ასევე, მნიშვნელოვანია შეფასების პროცესი მოიცავდეს მოსწავლეების მიერ თვითშეფასებასა და ურთიერთ შეფასებას, ერთმანეთისთვის განმავითარებელი უკუკავშირის მიწოდებას. ეს სასწავლო პროცესში მოსწავლის უფრო აქტიურად ჩართვას და მასში დამოუკიდებლად სწავლის უნარების განვითარებას უწყობს ხელს. შეფასების ამგვარი ფორმები მოსწავლეებს სწავლის მოტივაციას უღვივებს და მათ პოზიტიურ განწყობას უწყობს ხელს.

ფინური საერთაშორისო სკოლის შეფასების სისტემა ფოკუსირებას ახდენს სასწავლო პროცესში შეფასების მრავალფეროვანი და სიღრმისეული მეთოდების გამოყენებაზე. მოსწავლის ხასიათი, ტემპერამენტი თუ სხვა პიროვნული თვისებები არ წარმოადგენს შეფასების პროცესში ამოსავალ წერტილს. ცალკე ფასდება მოსწავლის საქციელი და ის გავლენას არ ახდენს მოსწავლის აკადემიური ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების შეფასებაზე.

მასწავლებელს საშუალება აქვს შეარჩიოს შეფასების იმგვარი ფორმები, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება კონკრეტულ მოცემულობას - სასწავლო მიზანს, მოსწავლის ასაკსა და შესაძლებლობებს.

ფინურ საერთაშორისო სკოლაში შეფასების შემდეგი ძირითადი ტიპები გამოიყენება: განმავითარებელი, დიაგნოსტიკური და განმსაზღვრელი:

- განმავითარებელი შეფასება (შეფასება სწავლის ხელშესაწყობად) გამოიყენება ყოველდღიურ რეჟიმში, სწავლის პროცესში ინტეგრირებულად. ის ემსახურება მოსწავლის მიღწევების შესახებ ინფორმაციის შეგროვებას თითოეული აქტივობის პროცესში.
- დიაგნოსტიკური შეფასება ემსახურება მოსწავლეების წინარე ცოდნის, უნარების, დამოკიდებულებებისა და ღირებულებების შესახებ ინფორმაციის მოპოვებას იმისთვის, რომ უფრო მიზნობრივად და ეფექტურად მოხდეს სასწავლო პროცესის დაგეგმვა.
- განმსაზღვრელი შეფასება (სწავლის შედეგების შეფასება) მიზნად ისახავს, დაადგინოს, თუ რა ცოდნასა და უნარებს დაეუფლა მოსწავლე სასწავლო პროცესის გარკვეული მონაკვეთის ბოლოს (იწერება მასწავლებლის მიერ - სემესტრის ბოლოს და სასწავლო წლის ბოლოს).

შეფასებისას გამოიყენება სხვადასხვა ფორმები:

- მიმდინარე შეფასება, რომლის დროსაც ხდება მოსწავლის პროგრესის მონიტორინგი სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას;
- არაპირდაპირი შეფასება - ტესტების, ქვიზების და მსგავსი ინსტრუმენტების მეშვეობით;
- მოსწავლეების მიერ განხორციელებული ურთიერთშეფასება - ჯგუფებში მუშაობისას, დებატებისას, რომელის დროსაც მოსწავლეები ერთმანეთს აფასებენ წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებით;
- თვითშეფასება.

საბოლოო შეფასება განისაზღვრება სემესტრული შემაჯამებელი სამუშაოებისა (სემესტრში მინიმუმ ერთი) და წლის განმავლობაში მასწავლებლის მიერ მოსწავლის მიმდინარე შეფასების საფუძველზე.

წლის ბოლოს, ფინურ საერთაშორისო სკოლაში მოსწავლეები იღებენ მათი აკადემიური მოსწრების შემაჯამებელ დოკუმენტს (Report Card). დოკუმენტში წარმოდგენილია მოსწავლის მიერ არსებულ სასწავლო მიზნებთან მიმართებაში მიღწეული პროგრესის შეფასება. დოკუმენტში ასევე წარმოდგენილია რეკომენდაცია იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოხდეს გამოვლენილი სირთულეების დაძლევა მოსწავლის მიერ და თუ რამდენად მიზანშეწონილია მოსწავლე გადავიდეს შემდგომ კლასში.

I-III კლასებში აკადემიური მოსწრების შემაჯამებელ დოკუმენტში შეფასება წარმოდგენილია წერილობითი კომენტარის ფორმით:

- ვერ შეძლო დადგენილი სასწავლო მიზნების მიღწევა, საჭიროებს დამატებით სწავლას;

- მიაღწია დადგენილ სასწავლო მიზნებს;
- მიაღწია დადგენილ სასწავლო მიზნებს და ფლობს ძლიერ უნარებსა და კომპეტენციებს აღნიშნულ საგანში.

IV კლასიდან შეფასება წარმოდგენილია ქულებში და ხშირ შემთხვევაში ერთვის, ასევე, წერილობითი კომენტარებიც. ამგვარი შეფასება მოსწავლის პროგრესის, ძლიერი მხარეებისა და დასაძლავი სირთულეების შესახებ მეტად დეტალურ ინფორმაციას იძლევა.

ცხრილში წარმოდგენილია სს „ფინური საერთაშორისო სკოლის“ ნიშნების სისტემა. ასევე, წარმოდგენილია, თუ როგორ მოხდება მისი კონვერტაცია „ეროვნული სასწავლო გეგმის“ მიხედვით დადგენილი ნიშნების სისტემის შესაბამისად.

ფინური მოდელის შესაბამისად შემუშავებული სს „ფინური საერთაშორისო სკოლის“ ნიშნების სისტემა		საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის N40/5 ბრძანების დანართით დამტკიცებული „ეროვნული სასწავლო გეგმის“ მიხედვით არსებული ნიშნების სისტემა	
ქულები	შეფასების დონეები	ქულები	შეფასების დონეები
10	წარჩინებული	10	მაღალი
9	ძალიან კარგი	9	
8	კარგი	8	საშუალოზე მაღალი
7	დამაკმაყოფილებელი	7	
6	დაბალი	6	საშუალო
5	მინიმალური	5	
4	არადამაკმაყოფილებელი (ჩაჭრა)	4	საშუალოზე დაბალი
		3	
		2	დაბალი
		1	

იმისათვის, რომ მოსწავლე შემდეგ კლასში გადავიდეს, მან უნდა გადალახოს სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი შეფასების სისტემის შესაბამისად დადგენილი მინიმალური ზღვარი (იხ. ზემოთ) როგორც სავალდებულო, ისე ყველა არჩევითი საგანში. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსწავლეს მოუწევს არსებული კლასის გამეორება.

ჩაჭრის შემთხვევაშიც, სანამ მოსწავლის კლასში დატოვებასთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილება იქნება მიღებული, მოსწავლეს ეძლევა შესაძლებლობა, ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე (მაგ., ზაფხულში) ჩააბაროს დამატებითი გამოცდა და/ან წარსდგეს მასწავლებლებისა და დირექტორის წინაშე, რომლებიც შეაფასებენ, თუ რამდენად არის იგი მზად მომდევნო წლის მასალის დასაძლევად. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე დაადასტურებს, რომ იგი აკმაყოფილებს არსებული კლასის აკადემიურ მოთხოვნებს, იგი დაშვებული იქნება შემდეგ კლასში. ამასთანავე, გამონაკლის შემთხვევებში, მოსწავლეს შეიძლება მოუწიოს კლასში დარჩენა მაშინაც კი, როდესაც იგი არცერთ საგანში არ ჩაჭრილა, მისი ზოგადი მზაობისა და აკადემიური პროგრესის გათვალისწინებით. ამგვარი გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მასწავლებლის მიერ მოსწავლის მშობლებთან/ოფიციალურ წარმომადგენლებთან შეთანხმებით, მსჯელობის პროცესში მათი აქტიური ჩართულობით და დასაბუთებული რეკომენდაციის საფუძველზე. საბოლოო გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით იღებს სკოლის დირექტორი.

გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც მოსწავლეს ობიექტური მიზეზების გამო (მაგ., სერიოზული ჯანმრთელობის პრობლემები, უბედური შემთხვევა) მოუწია გარკვეული პერიოდის მანძილზე სკოლის გაცდენა და გარკვეულწილად ჩამორჩა პროგრამას, რის გამოც ვერ გადალახა მინიმალური ზღვარი („ჩაიჭრა“) გარკვეულ საგან(ებ)ში, მასწავლებლის გადაწყვეტილებით, თუ იგი თვლის რომ მოსწავლის ზოგადი აკადემიური მზაობა დამაკმაყოფილებელია და იგი მოახერხებს შემდეგი კლასის მასალის დაძლევას, დასაბუთებული რეკომენდაციის საფუძველზე, მოსწავლე შეიძლება მაინც გადავიდეს შემდეგ კლასში. საბოლოო გადაწყვეტილებას ამ საკითხთან დაკავშირებით იღებს სკოლის დირექტორი.

## **ფინური საერთაშორისო სკოლის სასწავლო გეგმის შესაბამისობა, როგორც ფინური, ასევე, საქართველოს ეროვნულ სასწავლო გეგმაში წარმოდგენილ მოთხოვნებთან, ღირებულებებთან და პრინციპებთან**

საერთაშორისო ფინური სკოლა მიჰყვება PPFICG -ს, შესაბამისად, ეყრდნობა ფინეთში დანერგილ საუკეთესო პრაქტიკებსა, მიდგომებს და სრულად შეესაბამება განათლების საერთაშორისო სტანდარტებს. აქვე აღსანიშნავია, რომ სკოლის სასწავლო გეგმა ასევე ითვალისწინებს საქართველოს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. შესაბამისად, PPFICG-ში, დამატებით შეტანილია ისეთი საგნები, როგორცაა ქართული ენა და ლიტერატურა, საქართველოს ისტორია. ასევე, სხვადასხვა საგნებში, როგორცაა მაგალითად, ბუნებისმეტყველება, თემების წარმოდგენისას, ხდება საქართველოს კონტექსტის გათვალისწინებაც. ამგვარი მიდგომა უზრუნველყოფს სკოლის სასწავლო გეგმის თავსებადობას და სრულ შესაბამისობას როგორც ფინური საერთაშორისო, ასევე საქართველოს ეროვნულ სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან.

## ინკლუზიური განათლება

ინკლუზიური განათლება გულისხმობს თანაბრად ხელმისაწვდომ საგანმანათლებლო პროცესს, რომლის ფარგლებშიც ყველა მოსწავლისთვის უზრუნველყოფილია განათლების ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით მიღება.

### სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე

1. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონეა მოსწავლე (შემდგომში - სსსმ მოსწავლე), რომელსაც აქვს სწავლასთან დაკავშირებული სირთულეები, ვერ ძლევს შესაბამისი კლასისათვის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მინიმალურ მოთხოვნებს ან/და საჭიროებს ეროვნული სასწავლო გეგმის ადაპტაციას/გაფართოებას, გარემოს ადაპტაციას, ალტერნატიულ სასწავლო გეგმას ან/და სპეციალურ საგანმანათლებლო მომსახურებას.

2. სსსმ მოსწავლე შეიძლება იყოს მოსწავლე, რომელსაც აქვს:

ა) ფიზიკური შეზღუდვა;

ბ) ინტელექტუალური განვითარების დარღვევა;

გ) სწავლის უნარის დარღვევა;

დ) სენსორული განვითარების დარღვევა (სმენის და/ან მხედველობის);

ე) მეტყველების განვითარების დარღვევა;

ვ) ქცევითი და ემოციური დარღვევა;

ზ) გრძელვადიანი ჰოსპიტალიზაციის საჭიროება;

თ) სოციალური ფაქტორებით გამოწვეული სირთულეები სწავლაში, რის გამოც ვერ ძლევს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს.

ი) ენობრივი ბარიერის გამო გამოწვეული სირთულეები სწავლაში.

3. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დადასტურება ხდება სამინისტროს ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინური გუნდის (შემდგომში - მულტიდისციპლინური გუნდი) შეფასებისა და დასკვნის საფუძველზე, ასევე მულტიდისციპლინური გუნდის მიერ განისაზღვრება სსსმ მოსწავლისთვის ეროვნული სასწავლო გეგმის ადაპტაციის საჭიროება. ადაპტაციის სახეები: მოდიფიკაცია, აკომოდაცია, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, ალტერნატიული სასწავლო მიზნები, ალტერნატიული სასწავლო გეგმა ან/და გაფართოებული სასწავლო გეგმა.

4. სსსმ მოსწავლისთვის სკოლა უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმის მოდიფიკაციას, სასწავლო გარემოს აკომოდაციას და საჭიროების შემთხვევაში ალტერნატიული სასწავლო მიზნების შემუშავებას.

5. მოსწავლისთვის ეროვნული სასწავლო გეგმის მოდიფიკაცია ნიშნავს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შედეგების რაოდენობრივ და/ან თვისებრივ ცვლილებებს, რაც შესაძლებელია გულისხმობდეს სასწავლო მიზნების რაოდენობრივ შემცირებას, გამარტივებას მოსწავლის მზაობისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით.

7. სასწავლო გარემოს აკომოდაცია ნიშნავს სასწავლო გარემოს ისეთი ცვლილებას, რომელიც არ იწვევს ეროვნული სასწავლო გეგმის შინაარსის შეცვლას, არამედ ხელს უწყობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის შესაბამის სასწავლო გარემოს და პირობების შექმნას ქვემოთ ჩამოთვლილ კომპონენტებში:

- ა) ინსტრუქციის აკომოდაცია;
- ბ) გარემო პირობების აკომოდაცია;
- გ) შეფასების აკომოდაცია;
- დ) დროის, გრაფიკის აკომოდაცია.

8. ალტერნატიული სასწავლო მიზნების შემუშავება ხდება მძიმე, ღრმა და მრავლობითი დარღვევის მქონე მოსწავლეებისთვის, თუ შეუძლებელია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული ზოგიერთი საგნის სწავლება. ალტერნატიული სასწავლო გეგმა გონებრივი განვითარების მძიმე და მრავლობითი დარღვევების მქონე მოსწავლეებისთვის არის დოკუმენტი, რომელიც მოიცავს და აღწერს ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურისათვის საგნების საგანმანათლებლო სტანდარტს, სწავლების რეკომენდაციებს, მიღწევების, ფუნქციური უნარ-ჩვევებისა და ცოდნის შეძენის საშუალებებს. ალტერნატიული სასწავლო გეგმის მიხედვით თითოეული საგანი ისწავლება მრავალფეროვანი სასწავლო სტრატეგიების გამოყენებით და მოსწავლეს ფუნქციურ და აკადემიურ ცოდნას აძლევს. ალტერნატიული სასწავლო გეგმა განკუთვნილია მძიმე გონებრივი განვითარების და მრავლობითი დარღვევების მქონე მოსწავლეებისთვის როგორც სპეციალიზებულ, ასევე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში სწავლის შემთხვევაში და ასევე შინ სწავლებისას. ალტერნატიული სასწავლო გეგმის ფუნდამენტური პრინციპია – შედეგზე ორიენტირება მრავალფეროვანი, მოსწავლეზე ფოკუსირებული სწავლების ფორმებისა და სტრატეგიების გამოყენებით. გონებრივი განვითარების მძიმე და მრავლობითი დარღვევების მქონე მოსწავლეების სწავლებისას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე ხელმძღვანელობს ალტერნატიული სასწავლო გეგმით. ალტერნატიული სასწავლო გეგმა ზოგადი და სპეციალიზებული განათლების სფეროში მოღვაწე ყველა სუბიექტს ავალდებულებს უზრუნველყოს მძიმე გონებრივი განვითარების და მრავლობითი დარღვევების მქონე მოსწავლეთა სწავლების მაღალი სტანდარტი, რომლის ფუნდამენტური პრინციპი (ეროვნული სასწავლო გეგმის მსგავსად) – სასწავლო შედეგებზე ორიენტირებაა. ალტერნატიული სასწავლო გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელია: სპეციალიზირებულ სკოლაში საგნის მასწავლებელი, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში საგნის მასწავლებელი სპეციალური მასწავლებელთან ერთად, შინ სწავლებისას – ყველა ის მასწავლებელი, რომელიც შინ სწავლების პროგრამას ახორციელებს.

### **ინდივიდუალური სასწავლო გეგმა**

1. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არის მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების გათვალისწინებით ეროვნული სასწავლო გეგმის ადაპტაციით შექმნილი სასწავლო გეგმა.

2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ასახავს შესაბამისი კლასის დამთავრებისთვის მოსალოდნელ სასწავლო შედეგებს, მათ მისაღწევად განსაზღვრულ სწავლების სტრატეგიასა და დამატებით საშუალებებს/დონისძიებებს, შესაბამისი სასწავლო გარემოს შესაქმნელად გასატარებელ ზომებს.
3. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მაქსიმალურად უნდა ითვალისწინებდეს სსსმ მოსწავლის ყველა საგანმანათლებლო საჭიროებას და მისი მიღწევის გზებს, მოსწავლის ინტერესებსა და ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, რომლებიც აუცილებელია ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად.
4. სკოლა მულტიდისციპლინური გუნდის მიერ მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დადასტურებიდან ერთი თვის ვადაში, ხოლო უკვე იდენტიფიცირებული სსსმ მოსწავლეებისთვის - ორი კვირის ვადაში ქმნის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას.
5. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შეიძლება მოიცავდეს ყველა საგანს ან რომელიმე კონკრეტულ საგანს/საგნებს სსსმ მოსწავლის საჭიროების შესაბამისად.
6. ყოველი სსსმ მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში დეტალურად უნდა განისაზღვროს:
  - ა) სასწავლო შედეგები, სწავლების სტრატეგიები და სასწავლო (როგორც საკლასო, ისე საშინაო) აქტივობები შერჩეულ საგანში/საგნებში;
  - ბ) დრო, რომელსაც მასწავლებელი დაუთმობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო შედეგების მიღწევას თითოეულ საგანში;
  - გ) მოსწავლისათვის საჭირო დამატებითი ჯგუფური/ინდივიდუალური მეცადინეობები, მეცადინეობების გრაფიკი, ადგილი და ხანგრძლივობა;
  - დ) დამატებით ჯგუფურ/ინდივიდუალურ მეცადინეობებზე პასუხისმგებელი პირი: საგნის მასწავლებელი, მშობელი და/ან სპეციალური მასწავლებელი, საჭიროების შემთხვევაში სხვა სპეციალისტი;
  - ე) სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი რესურსი (სახელმძღვანელოები და მოსწავლისათვის საჭირო სხვა საგანმანათლებლო/განმავითარებელი რესურსი) და რესურსით უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი, მათ შორის, მშობელიც;
  - ვ) მოსწავლისათვის საჭირო დამატებითი ტექნიკური რესურსები.
7. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა უნდა მოიცავდეს ინფორმაციას ბავშვის კოგნიტური, აკადემიური, საგნობრივი კომპეტენციების, ინტერესების, სოციალური, ქცევითი, ემოციური, მოტორული და სხვა სფეროების შესახებ, ძლიერი მხარეებისა და საჭიროებების გათვალისწინებით.

### **ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი ისგ ჯგუფი**

1. სკოლის დირექტორის ბრძანებით თითოეული სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესამუშავებლად განისაზღვრება ისგ ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას და ხელს შეუწყობს მის განხორციელებას. ისგ-ს ჯგუფი ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს ისგ-ს შიდა მონიტორინგში და მასალა წარუდგინოს სკოლის დირექტორს.



2. სკოლის ისე ჯგუფი შედგება შემდეგი წევრებისაგან:

- ა) სსსმ მოსწავლის კლასის დამრიგებელი;
- ბ) საგნის მასწავლებლები, რომლებიც უშუალოდ ასწავლიან მოსწავლეს;
- გ) სკოლაში ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტი/სპეციალისტები;
- დ) სსსმ მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი;
- ე) საჭიროების შემთხვევაში მოწვეული სხვა სპეციალისტი.

3. ისე ჯგუფს უნდა ჰყავდეს კოორდინატორი, რომელიც წარმართავს ჯგუფის წევრების მუშაობას და პასუხისმგებელია ჯგუფის საქმიანობაზე. ჯგუფს ხელმძღვანელობას უწევს დამრიგებელი.

4. ისე ჯგუფი იკრიბება, სასწავლო წლის განმავლობაში მინიმუმ 4-ჯერ; ისე ჯგუფის წევრები შეხვედრაზე განიხილავენ სსსმ მოსწავლის მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესს, მის სასწავლო შედეგებს, გამოწვევებს, გამოყენებული სწავლების სტრატეგიების ეფექტურობას, ინდივიდუალური სასწავლო გეგმაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის საჭიროებას, სწავლებაში ახალი მიდგომებისა და მეთოდების დანერგვის საჭიროებას და აუცილებელ რესურსებს.

5. ისე ჯგუფის შეხვედრებზე სპეციალური მასწავლებელი/კლასის დამრიგებელი აწარმოებს სხდომის ოქმებს. ყველა სხდომის ოქმი ინახება მოსწავლის პირად საქმეში.

6. სასწავლო წლის დასასრულს, ისე ჯგუფის წევრი თითოეული მასწავლებელი აფასებს შესაბამის საგანში სსსმ მოსწავლის მიღწევების (ცოდნა, უნარ-ჩვევები) შესაბამისობას ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სასწავლო შედეგებთან დაკავშირებულ ინფორმაციას და ანგარიშს წარუდგენს დირექტორს, პედაგოგიურ საბჭოს და მშობელს.

### **სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება, დასწრება და გაცდენები**

1. სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება ხდება იმავე პრინციპით, როგორც ფასდება ნებისმიერი სხვა მოსწავლის აკადემიური მიღწევა. თუ სსსმ მოსწავლე განათლებას იღებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით, ფასდება მის მიერ ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევის დონე. სსსმ მოსწავლე, რომელიც წარმატებით ძლევს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, ფასდება მაღალი ქულით.

2. სსსმ მოსწავლისთვის სემესტრული, წლიური და საფეხურის ქულები გამოითვლება იმავე პრინციპით, როგორც სხვა მოსწავლეებისთვის.

3. მულტიდისციპლინური გუნდის წინასწარი დასკვნის საფუძველზე, გამონაკლისის სახით, შესაძლებელია:

- ა) სსსმ მოსწავლე გადავიდეს მომდევნო კლასში იმ შემთხვევაში, თუ ის, დასკვნის საფუძველზე, არ ესწრება ერთ ან რამდენიმე საგანს და არ აქვს შეფასება შესაბამის საგანში/საგნებში.
- ბ) სსსმ მოსწავლის წლიური ქულა გამოანგარიშდეს საგნის/საგნების ერთი სემესტრის შეფასების საფუძველზე.

4. საბაზო/საშუალო საფეხურის სსსმ მოსწავლის მიერ სასწავლო წლის მანძილზე დათმობილი საათების 30 % და მეტი გაცდენის შემთხვევაში, ის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესაბამისად, ექსტერნატის ფორმით აბარებს გამოცდას.

### **სსსმ მოსწავლეთა შინ სწავლება**

1. იმ შემთხვევაში, თუ სსსმ მოსწავლეს ჯანმრთელობის მდგომარეობა არ აძლევს სკოლაში სიარულის საშუალებას, სკოლა მიმართავს მულტიდისციპლინურ გუნდს, რომლის დასკვნის საფუძველზეც სსსმ მოსწავლე სწავლას განაგრძობს შინ სწავლების ფორმით. ამ შემთხვევაში მოსწავლე ირიცხება სკოლაში, მაგრამ არ ესწრება გაკვეთილებს. სკოლა უდგენს მას ინდივიდუალური სწავლების სპეციალურ გეგმას, რომლის მიხედვითაც მოხდება სსსმ მოსწავლის შინ სწავლება.

2. მულტიდისციპლინური გუნდი განსაზღვრავს და სკოლასთან და მშობელთან ათანხმებს სსსმ მოსწავლის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას.

3. შინ სწავლების მეთოდით გათვალისწინებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მაქსიმალურად იქნება მიახლოებული ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. სკოლა დაადგენს განრიგს, რომლის მიხედვითაც სკოლის მიერ განსაზღვრული საგნის მასწავლებელი და საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური მასწავლებელი განახორციელებენ სსსმ მოსწავლესთან ვიზიტებს. სკოლამ/ისგ ჯგუფმა უნდა განახორციელოს შინ სწავლების პროცესის მონიტორინგი სკოლის მიერ შერჩეული ფორმატით.

4. შინ სწავლების პროცესში ჩართული იქნება სსსმ მოსწავლის მშობელი, რომელიც დაეხმარება მოსწავლეს ყოველდღიური დავალებების შესრულებაში.

5. შინ სწავლების პროცესში შესაძლებელის გამოყენებულ იქნეს ინტერნეტი და ვიდეოკონფერენციები.

6. სსსმ მოსწავლის შინ სწავლების შემთხვევაში სკოლა უზრუნველყოფს შინ სწავლებაზე მყოფი მოსწავლისათვის შესაბამისი კლასის საათობრივი ბადით განსაზღვრული თითოეული საგნის (გარდა ფიზიკური აღზრდისა (სპორტი)) კვირაში მინიმუმ ერთი აკადემიური საათის ოდენობით ჩატარებას.

**იმისათვის, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლემ (სსსმ) სკოლაში თავი უსაფრთხოდ და დაცულად იგრძნოს:**

- ◆ სკოლა ქმნის სამუშაო ჯგუფს, რომელიც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლისათვის მიმართულების განსაზღვრას, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებას და ხელს შეუწყობს მის განხორციელებას.
- ◆ სკოლის კიბეებზე გაკეთებულია პანდუსი, რომლის საშუალებითაც ისინი იოლად შეძლებენ გადაადგილებას და ურთიერთობას თანატოლებთან.
- ◆ სკოლაში დამონტაჟებულია ლიფტი, რომლის საშუალებითაც მოსწავლეს საჭიროების შემთხვევაში გამოიყენებს გადაასაადგილებლად.
- ◆ სსსმ მოსწავლის საჭიროების შესაბამისად, იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;

- ◆ მასწავლებელს, მულტიდისციპლინურ გუნდთან შეთანხმებით, საჭიროებისამებრ, შეეძლება სსსმ მოსწავლეს შეუცვალოს გაკვეთილები ან შეუმციროს რაოდენობა.
- ◆ მასწავლებელს შეეძლება საჭიროებისამებრ, შეიმუშაოს ალტერნატიული აქტივობები;
- ◆ ცოდნის ხარისხის გაზრდის მიზნით, ჩაუტაროს დამატებითი მეცადინეობა, შეაფასოს ინდივიდუალური მიღწევების მიხედვით;
- ◆ სკოლა წაახალისებს მოსწავლეს, ზოგჯერ უბიძგებს კიდევ, გახდეს დამოუკიდებელი, რამდენადაც ეს მისთვის იქნება შესაძლებელი;
- ◆ სკოლა ჩამოუყალიბებს მოსწავლეს სხვადასხვა უნარს (კითხვის, წერისა და აზროვნების უნარები, რომელიც დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის არის საჭირო);
- ◆ ვიზუალური გზით სწავლებისას გამოყენებული იქნება ნახატმანიპულაციები, (მათემატიკის) დიაგრამები, ილუსტრირებული სახელმძღვანელოები, ვიდეოები, ფორმატები, სლაიდები და სხვა თვალსაჩინოებები;
- ◆ გამოყენებული იქნება სხვადასხვა თამაში სოციალური განვითარებისთვის;
- ◆ სსსმ მოსწავლის სწავლების პროცესში აქტიურად იქნება ჩართული სსსმ მოსწავლის მშობელი.